დანართი

დანართი N2

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისა და საბაზო საფეხურის VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის სრულყოფა გამოცხადებული გრიფირების სპეციფიკის გათვალისწინებით დასრულდეს 2019 წლის 31 იანვარს;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანდიდატურის წარმოდგენა - 2019 წლის 11-22 მარტი;
3. გრიფირების განაცხადის (საბუთების და სახელმძღვანელოს მაკეტის) წარმოდგენა - 2019 წლის 18-22 მარტი და 2019 წლის 28 მარტი. მასწავლებლის წიგნის და მასწავლებლის წიგნის ელ. რესურსის წარმოდგენა - 2019 წლის 18-28 მარტი;
4. გრიფირების განაცხადზე მატერიალური ფორმით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა - გრიფირების განაცხადის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღე;
5. გრიფირების განაცხადების შემოწმება - 2019 წლის 18-29 მარტი;
6. გრიფირების განაცხადებში ხარვეზის აღმოფხვრა - გრიფირების განაცხადზე ხარვეზის დადგენიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღე;
7. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის/მაკეტის განხილვა და შენიშვნა/რეკომენდაციის წარმოდგენა - 2019 წლის 2-16 აპრილი;
8. სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზირება/რეცენზიების გაცნობა/მოსაზრებების წარდგენა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება/მოსაზრებების განხილვა/რეცენზიის გადასინჯვა/გადაწყვეტილების მიღება - 2019 წლის 28 მარტი - 20 ივნისი;
9. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაფორმების ვადა - არაუგვიანეს 2019 წლის 21 ივნისი;
10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა - 2019 წლის 24 ივნისი - 7 ივლისი;
11. განცხადებლის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის წარდგენა გარანტორისთვის - 2019 წლის 21 მაისი;
12. ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდის (მოქმედი) შესახებ ინფორმაციის (მისამართი) წარდგენა - გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან მეორე კალენდარული დღე.